

## სკოპინგის დასკვნა N40

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (ს/კ 204995176);

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ცაგერის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტები;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 30.05.2024;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** შპს „გამა კონსალტინგი“;

### ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, წარმოდგენილია ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, 500 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე 500 კვ „ლაჯანურის“ და 500 კვ „წყალტუბოს“ ქვესადგურების ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით, დაგეგმილი აქვს 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს“ გაყვანა. საპროექტო ეგზ-ის სიგრძე იქნება 47,4 კმ. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ეგზ-ის დერეფნიდან (გარე სადენიდან) დაშორებულია დაახლოებით 40-45 მ-ით (სოფ. გუმბრა). საპროექტო ეგზ-ის დერეფანი გადაკვეთს მდ. რიონს, მდ. ლეხიდარს, მდ. უცხერის ღელეს და მდ. რიონის სხვა მცირე შენაკადებს, „ქუთაისი-ალპანა-მამისონის“ და „ქუთაისი-წყალტუბო-ლენტეხის“ საავტომობილო გზებს.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია ელექტროგადამცემი ხაზის ტიპების, მარშრუტებისა და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივები. წარმოდგენილი ინფორმაციით, ალტერნატივის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში ჯამურად დაგეგმილია 118 ერთეული საყრდენი ანძის მოწყობა. 500 კვ ეგზ-ის საწყისი წერტილი განთავსებული იქნება- ქ/ს „ლაჯანური 500“-ის ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები X-320178, Y-4714263), ხოლო საბოლოო წერტილი

დაერთდება - ქ/ს „წყალტუბო 500“-თან (GPS კოორდინატები X-301715, Y-4683966). ეგხ-ის დერეფანი გაივლის სოფ. ალპანას, სოფ. დღნორისას, სოფ. მექვენას, სოფ. ჟონეთს, სოფ. ბანოჯას, სოფ. ჯვარისას, სოფ. რიონის, სოფ. ოფურჩხეთის, სოფ. წყალტუბოს, სოფ. გუმბრას და მათ მიმდებარე ტერიტორიებს. ეგხ-ის დერეფანი ძირითადად ექცევა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე, თუმცა, გარკვეულ მონაკვეთებზე გავლენის (მათ შორის, დაცვის ბუფერში) ზონაში მოქცეულია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გავლენის ზონაში ჯამურად ექცევა 259 კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში საყრდენი ანძისთვის მონტაჟისთვის გამოყენებული იქნება „B-NS“, „B10-LC“, „B-30“, „B-60“ და „B90/DE“-ტიპის ანძები და “ACSR 500/204” და “ACSR 400/51” მარკის სადენები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის მოწყობა არ არის გათვალისწინებული. საპროექტო ეგხ-ის მშენებლობა განხორციელდება ექვსი უბნიდან, სადაც განთავსებული იქნება სამშენებლო მასალების დროებითი საწყობები. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 2 წლის განმავლობაში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის დერეფანი ძირითადად განთავსებული იქნება არსებული 220 კვ ძაბვის ეგხ „დერჩის“ დერეფნის უშუალო სიახლოვეს, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფილია მისასვლელი გზებით, თუმცა, ზოგიერთ მონაკვეთზე საჭირო იქნება სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და გარკვეულ მონაკვეთებზე (ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში) ანძების განთავსების ადგილებამდე მისასვლელი გზების მოწყობა, 5 მეტრამდე სიგანით. ჯამურად პროექტის ფარგლებში მოსაწყობი გზების სიგრძე იქნება 30 კმ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების პროცესში მოსალოდნელია დაახლოებით 150 000 მ<sup>3</sup> მოცულობის ფუჭი ქანების წარმოქმნა, რომლის ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრებისთვის და მისასვლელი გზების მოსაწყობად, ხოლო დარჩენილი ნაწილი განთავსდება ფუჭი ქანების სანაყაროზე GPS კოორდინატები: X-318825.53, Y-4697994.67 (ფართობით 4 370 მ<sup>2</sup>). სანაყაროზე განსათავსებელი ფუჭი ქანების მოცულობა დაზუსტებული იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მისასვლელი გზების მოწყობა და საყრდენი ანძების მაღალი დახრილობის ფერდობებზე განთავსება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებასთან. დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, ასევე ვიბრაციისა და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან და ტექნიკის მუშაობასთან.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგზ-ს დერეფნის დიდი ნაწილი გადის დაუსახლებელ ტერიტორიებზე, სადაც საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები განთავსებული არ არის, ხოლო იქ სადაც საპროექტო ეგზ-ს დერეფანი გაივლის დასახლებულ პუნქტებს, ეგზ-ის ბუფერში და დაცვის ზონაში (30 მ განაპირა სადენებიდან) არ ხვდება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები. გამომდინარე აღნიშნულიდან, ადგილობრივ მოსახლეობაზე ელექტრომაგნიტური ველების გავრცელების ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა (დაშორება 130 მ) და ზურმუხტის ქსელის საზღვრებში. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ეგზ-ის ბუფერის ფართობიდან 2 729 711 მ<sup>2</sup> წარმოადგენს სახელმწიფო ტყეს. ასევე, სახელმწიფო ტყის საზღვრებშია საპროექტო გზების საერთო 169 376 მ<sup>2</sup> ფართობიდან, 113 822 მ<sup>2</sup>. წარმოდგენილი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვება.

პროექტის ფარგლებში ზემოქმედების ქვეშ ექცევა ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System) 19 ტიპის ჰაბიტატი. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ფლორის რამდენიმე სახეობა, მათ შორის: კაკლის ხე (*Juglans regia*), ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*), კეთილშობილი დაფნა (*Laurus nobilis*) და სხვა. საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საპროექტო დერეფანში და მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 40-მდე, ხელფრთიანების 20-მდე, ფრინველების 100-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 21, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფაუნის წარმომადგენლებიდან ზემოქმედება ძირითადად მოსალოდნელია ხელფრთიანებზე და ორნითოფაუნაზე. წარმოდგენილი ინფორმაციით, დაგეგმილია ბიომრავალფეროვნებაზე დეტალური კვლევის განხორციელება, რომლის შედეგები შესაბამისი რეკომენდაციებით, შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებების გათვალისწინებით, წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საქმიანობის განხორციელების პროცესში ნარჩენების მართვა და შეგროვება მოხდება სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის განხორციელება დაკავშირებულია კუმულაციურ ზემოქმედებასთან, რადგან საპროექტო ეგზ-ის სიახლოვეს განთავსებულია 220 კვ „დერჩის“ (2-335) და 500 კვ „იმერეთის“ ელექტროგადამცემი ხაზები. ეგზ-ის ექსპლუატაციის პერიოდში

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორნითოფაუნაზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალში ვიზუალური დათვალიერებისას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ გამოვლენილა. საპროექტო ეგხ-ს დერეფნის არქეოლოგიური კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ცაგერის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა სოფ. გუმბრას, სოფ. ჯვარისას და სოფ. დღნორისას ადმინისტრაციული ერთეულის შენობებში, ასევე სოფ. ოფურჩხეთის ბიბლიოთეკის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და შესაბამისი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან, ძირითადად ყურადღება გამახვილდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, ასევე დამსწრე საზოგადოება დაინტერესდა ელექტროგადამცემი ხაზის ელექტრომაგნიტური გამოსხივებით. საჯარო განხილვებზე დასმულ საკითხებზე, შესაბამისი განმარტებები გააკეთეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლებმა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებები.

### **გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;**

2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
  - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ეგხ-ის ტიპის ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ეგხ-ის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
  - საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო-პირობების დახასიათება, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მესაკუთრებთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
  - საპროექტო ეგხ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების (სიგრძე, ანძების სიმაღლე და სხვ.) ცხრილი და ინფორმაცია ეგხ-ის განთავსების ტექნიკური პირობების შესახებ (საყრდენი ანძების კონსტრუქციებისა და სადენების ტიპების, საყრდენების დამონტაჟების პირობებისა და საძირკვლების პარამეტრების მითითებით);
  - საპროექტო ეგხ-ის დერეფნის shp ფაილები, საპროექტო საყრდენი ანძების განთავსების GPS კოორდინატები და ზემოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდების მითითებით);
  - ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის შესახებ. ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე და shp ფაილებზე ასახვით) შესახებ, მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;

- დაზუსტებული მანძილი საპროექტო ეგზ-ის დერეფნიდან (უშუალოდ ეგზ-ის სადენებიდან და დაცვის ზონიდან/ბუფერიდან) უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- საპროექტო ეგზ-ის სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი და მუშაობის ხანგრძლივობა. ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდებისა და ლიტერატურის შესახებ;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ეგზ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ;

#### **4.1. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:**

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობისა და გეგმა- გრაფიკის მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი გრუნტის/ფუჭი ქანების რაოდენობისა და მათი მართვის საკითხების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების გაყვანის და რეაბილიტაციის შესახებ (მოსაწყობი და სარეაბილიტაციო გზების სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით), მოსაწყობი და სარეაბილიტაციო გზების პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების მითითებით, ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობითა და რეაბილიტაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;

#### **4.2. გეოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:**

**გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:**

- რელიეფი (გეომორფოლოგია);

- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (მათ შორის
- მონაკვეთის პიკეტური აღწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს საკვლევ ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური პროცესების შეფასებას).

#### **გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:**

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ფუჭი ქანების განთავსების ადგილების და სამშენებლო მოედნების მოწყობისათვის საჭირო შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.
- სააგენტოში არსებული ინფორმაციით, ეგხ-ს №15-16-17-18-19 ანძები ხვდება მასშტაბური მეწყრული სხეულის არეალში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ანძების განთავსების არეალში უნდა ჩატარდეს დამატებითი კვლევები, რომლის დროსაც შესაძლოა გამოიკვეთოს ანძების ადგილმონაცვლეობის და შესაბამისად ეგხ-ის აღნიშნული მონაკვეთის კორექტირების საჭიროება.

#### **4.3. ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- დოკუმენტში წარმოდგენილი კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ ტერიტორიაზე გვხვდება საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მრავალი სახეობა. ამასთან, Shp ფაილების გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განსათავსებელი ეგხ-ის ანძები მდებარეობს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, თუმცა დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ ოდენობაზე. გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: „ჰაბიტატების აღდგენის ან სხვა მნიშვნელოვანი სახის საკომპენსაციო ღონისძიებების გატარების საჭიროება კვლევის ამ ეტაპზე არ იკვეთება, ვინაიდან ჰაბიტატების დანაკარგი, ფართობული თვალსაზრისით, არ იქნება დიდი“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული დეტალური კვლევები, ზემოქმედების სახეებისა და ხარისხის/მასშტაბის თაობაზე შესაბამისი დასაბუთებით. კვლევები, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა მოიცავდეს ჰაბიტატების ფრაგმენტაცია-დეგრადაციის შედეგად ცხოველებზე შესაძლო ზემოქმედების საკითხებს. აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა იქნას შემოთავაზებული სათანადო პრევენციული (ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და საჭიროებისამებრ საკომპენსაციო) ღონისძიებები. აღნიშნული კვლევების შედეგები ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში, ფოტომასალის, კვლევების ვადებისა და სეზონურობის მითითებით;

- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზისა და მისი მშენებლობისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით;
- მონიტორინგის გეგმა, რომელიც ტექსტურ ნაწილთან ერთად, უნდა მოიცავდეს თავად ქმედებების გეგმა-გრაფიკს, ცხრილის სახით. გეგმაში ასახული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტზე, განსაკუთრებით ფრინველებზე და მათ სიკვდილიანობაზე (მაგ: ელექტროსადენებთან და ანძებთან შეჯახებით სიკვდილიანობა) დაკვირვების საკითხები ვადების, ადგილების, ხანგრძლივობისა და სხვა პარამეტრების მითითებით. გეგმაში მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებით პრევენციული, ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელების მიზნით, აგრეთვე სააგენტოსთან ანგარიშგებისა და სხვა საჭირო საკითხები.
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორიიდან უმოკლესი მანძილი ეგხ-ის დერეფნიდან სათაფლიის ნაკრძალის საზღვრამდე შეადგენს დაახლოებით 130 მეტრს. გზის ანგარიშში განხილულ იქნას დაცულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების ასპექტები, ასევე მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე.

**5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების (არსებობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება (გავრცელების სიხშირე და დონე), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, შესაბამისი დასაბუთებით და საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა, განთავსების პირობებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ, (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები), „ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის,



გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით;

- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება.
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე, მოცემული უნდა იყოს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა; ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა და გრუნტის წყლებზე. დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები);
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე ზემოქმედების ჭრილში), მიმდებარე არსებული ობიექტების გათვალისწინებით, შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ, არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (დასახლებულ პუნქტებში გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვა, ღამის საათებში დასახლებულ პუნქტებში გადაადგილების აკრძალვა, სენსიტიურ უბნებზე გზების მორწყვა და სხვ);
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;

- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;

**6.საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:**

- საპროექტო ეგბ-ის დერეფანი გადაკვეთს მდ. რიონს, მდ. ლეხიდარს, მდ. უცხერის დელეს და მდ. რიონის სხვა მცირე შენაკადებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ზედაპირული წყლის ობიექტების გადაკვეთების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით;
- ანძების განთავსებისას საყურადღებო იქნება ზედაპირული წყლების ხარისხის გაუარესების რისკები და მოსალოდნელი მდინარის დაბინძურება (მდინარის კალაპოტის სიახლოვეს მუშაობის დროს). აღნიშნულიდან გამომდინარე, მკაცრად იქნეს დაცული და გათვალისწინებული ყველა ის შემარბილებელი ღონისძიება, რაც წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ეგბ-ის ბუფერის ფართობიდან 2 729 711 მ<sup>2</sup> წარმოადგენს სახელმწიფო ტყეს. ასევე, სახელმწიფო ტყის საზღვრებშია საპროექტო გზების საერთო 169 376 მ<sup>2</sup> ფართობიდან, 113 822 მ<sup>2</sup>. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან (შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში). იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ტყის სტატუსის შეწყვეტის უფლების მოპოვება, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 დადგენილებით „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“. ამასთან, არსებული და სარეაბილიტაციო გზების, ეგბ-ის ალტერნატიული ვარიანტების ადგილმდებარეობებისა და ფართობების დადგენის მიზნით, წარმოდგენილი უნდა იყოს პოლიგონური Shp ფაილები.

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია, კვეთს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, გაცემული N578 (ტეშენიტი, ფ/პ დავით ჩაგიაშვილი, 13.06.2023 წ., ვადა - 10 წ.) და N 890 (კირქვა, შპს „სამგურალი 2020“, 04.06.2008 წ., ვადა - 20 წ.) ლიცენზიების კონტურებს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. საპროექტო ტერიტორია, ასევე, კვეთს მექვენას ბარიტ-კალციტის, ოსუნელას კირქვის და ღვედის კალციტის საბადოების და ძეძილეთის კირქვის გამოვლინების კონტურებს. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია აღნიშნულ ნაწილში ექვემდებარება წიაღზე დამაგრებას. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული საკითხის გათვალისწინების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთმეუსაბამო ინფორმაცია კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთების სარგებლობის შესახებ, კერძოდ: გვ. 149 ტექსტურ ნაწილში მითითებულია, რომ „გავლენის ზონაში მოქცეულია 259 კერძო საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი, აქედან 33 ნაკვეთზე 20 საყრდენი ანძა ექცევა კერძო საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე, ხოლო დანარჩენ ნაკვეთებში საყრდენი ანძების განთავსება დაგეგმილი არ არის“, თუმცა 4.14.1 ცხრილის მიხედვით, გავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთების რაოდენობა შეადგენს 36 ერთეულს. აღნიშნული საკითხი გზმ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის ზოგიერთი მონაკვეთი კვეთს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის, გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

#### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს“ გაყვანას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.